დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 66 ოთხშაბათი, 24 მარტი 1910 წ. № 66

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 10 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, [illegible] ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ქართული თეატრი

შაბათს, 27 მარტს, 1910 წელს

გრიგოლ რობაქიძე

წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას ამ თემაზე

„რელიგია მშვენიერებისა"

(შესახებ ოსკარ უაილდის შემოქმედებისა)

პროგრამა ლექციისა:

შესავალი.—ცხოვრება და შემოქმედება.—სიყვარული და უკვდავება.—მხატვრული სახე, როგორც სიმბოლო უკვდავისა და მარადისა—უაილდის ესთეტიური თეორია.—ზღაპრები უაილდისა.—დრამა „სალომე" (სიყვარული და სიკვდილი)—რომანი „დორიან გრეი" (ტრაგედია მშვენიერი სიცოცხლისა).—სულიერი დრამა უაილდისა. (თხზულება „De profundis") მნიშვნელობა უაილდისა.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე. (3—ნ.—3)

სახაზინო თეატრი

დღეს, საღამოს 8 საათზე პეტერბურგელი ლიტერატორი და დოქტორი

ნ. ი. აბრამოვიჩი

წაიკითხავს მეორე ლექციას

„დედა-კაცი ლიტერატურაში და ცხოვრებაში"

ადგილების ფასები დაკლებულია. :✦:✦: ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

კავკასიის სამთო გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1910 წლის 26 აპრილს ქუთაისში, კავკასიის სამთო გამგეობის უფროსის თანაშემწის, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის ჩენგერის თავმჯდომარეობით, მოწვეული იქნება შორაპნის მაზრის შავი ქვის მრეწველთა მე-XIII მორიგი კრება.

განსახილველი საგნები:

1. არჩევა კრების მდივნისა.
2. განხილვა ანგარიშისა: ა) კრების საბჭოსი 1908 და 1909 წ.; ბ) სარევიზიო კომისიისა და გ) ჭიათურის შტოზე პლატფორმებისა და ვაგონების განმანაწილებელ კომიტეტისა.
3. განხილვა შემდეგ სტატისტიკურ ცნობებისა: რა წარმოება იყო მღვიმე-მაღაროებში, რამდენია სათადარიგო ქვა რკინის გზის სადგურებზე და რამდენი ქვა გადის, რა გადასაზიდი საშუალებებია და რა საწყობებია ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე როგორც ჭიათურის შტოზე, ისე მთავარ ლიანდაგზე.
4. მოწყობა კრების ხარჯზე ჭიათურის სამრეწველო რაიონში მექანიკურ ჩამოსაშვებისა ქვის მისატანად რკინის გზის საწყობებში.
5. მღვიმე-მაღაროების უზრუნველ-ყოფა წყლით.
6. ფულით შემწეობა კავკასიაში განზრახულ მომავალ უმაღლესს სასწავლებელს.
7. სუბსიდიის დანიშვნა ინჟენერ-ქიმიკოსის რომანოვის ქიმიურ ლაბორატორიისთვის ქუთაისში.
8. დაარსება ჭიათურაში ქალთა პროგიმნაზიისა.
9. შავი ქვის გადატანის საქმის გაუმჯობესება რკინის გზებზე:
   ა) ჭიათურის ვიწრო-ლიანდაგიან გზის გაკეთება განიერ ლიანდაგად;
   ბ) დაწესება საიჯარო ფასის ნორმალურ რაოდენობისა საწყობ ადგილებში და სხვაგან ჭიათურის შტოს რაიონში.
   გ) გაუქმება მისასვლელ გზებისა ჭიათურისა და ჭექოურის რაიონში.
   დ) გადასასვლელ ხიდის გაკეთება ჭიათურის სადგურზე.
   ე) გამართვა ჩამოსაფარებისა შავი ქვის პლატფორმებზე და რკინის გზის ვაგონების მოწყობა ისე, რომ ქვა არა სველდებოდეს.
   ვ) სხვა საკითხების განხილვა, რომელთაც კავშირი აქვთ შავი-ქვის გადატანასთან.
10. განხილვა და დამტკიცება შავი-ქვის მრეწველთა კრების შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა 1910 წლისათვის.
11. არჩევა თანამდებობის კაცებისა. (3—ნ.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დ [illegible] ხახ. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 სა[illegible]

გედევანიშვილი მ. ა. ნერ[illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ხ. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ.,

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ ს. თვალის, ორშ., ო[illegible] პარასკ. 2—2-ნახ. ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყო დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—139)

დაიბეჭდა და პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის მომწერლებს მორიგი ნომერი ჟურნალ

„განათლებისა"

შემდეგის შინაარსით: პრ. ბერნ. მიუნცი 1. ბავშვის ლოღიკა—ალ. ფადავასი, 2. სწავლა აღზრდის საქმე საქართველოში 10-13 საუკ. სამ. ცომაიასი, 3. უცხო ენების ადრე სწავლება (სიმონოვიჩიდან), 4. ორი კუდიანი ვარსკვლავი, 5. პედაგოგიის ისტორია დ—რ ვაიმერისა (გერმანულიდან) 6. ლორთქიფანიძისა, 6. *** ლექსი ლადო გეგეჭკორისა, 7. პოზნანელ მასწავლებლის დღიური (დასასრული) სენკევიჩისა თ. მაგმაძისა, 8. ხულა და ღმერთები მახანასი, 9. არითმეტიკის და გეომეტრიის პროგრამები საქართ. სახალხო სკოლებისათვის, 10. ახალი მიმართულება არითმეტიკის სწავლებაში ალბანელისა, 11. პირველ დაწყებითი სწავლება არითმეტიკის სწავლებისა ამერიკის სკოლებში, 12. გეომეტრია სახალხო სკოლებში, 13. სასკოლო საკითხი საფრანგეთში, 14. სახალხო ბიბლიოთეკები გერმანიაში, 15 ბიბლიოგრაფია ვანჯანისა. 16 ახალ წლის დღესასწაული სპარსეთში და საქართველოში პროფ. **ალ. სახანაშვილისა.**

ჟურნალი წლიურად ღირს გაგზავნით 3 მან. ნახევარი წლით 2 მან. სოფლის მასწავლებელთათვის წლიურად—2 მან. წარსული წლების ხელის მომწერთ, ვინც არ განაახლებს ხელის მოწერას, მეოთხე ნომრის შემდეგ ჟურნალის გზავნა მოესპობათ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში—ქ. შ. წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის" რედაქციაში. ადრესი: Тифлисъ, Грузинская гимназія Л. Г. Боцвадзе. (3—1) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაცია და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—302)

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი

ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—36)

ექიმი ზ. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—56)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულოზით წამლობა ჰელქიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—გგ.—32)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—146)

ქუთაისში
კბილის ექიმი ა. ა. ბუტულოვისა
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—გვ.—5

ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში გ. დ. ბეთანოვი მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—21)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—130)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი ა ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი დ. ახვლედიანი იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—45

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—395)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—გგ.—2)

ექიმი ვ. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—89

ექიმი ქუთაისში ფ. ი. ბასნევსკი იღებს ავადმყოფებს **შინაგან სნეულებათა** და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—გვ.—14)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

პეტერბურგში აპრილიდან გამოვა ყოველთვიური სურათებიანი ჟურნალი

„ЗАЩИТА ЧЕЛОВѢКА"

(ადამიანის დაცვა)

მონაწილეობას მიიღებს **ლ. ნ. ტოლსტოი**

პირველ ნომერში მოთავსებული იქნება **კირიონ ეპისკოპოსის სურათი და სტატია ქუთაისის გიმნაზიაში მომხდარ ინციდენტის შესახებ.**

ფასი წლიურად 1 მან. 50 კაპ., ექვსი თვით 80 კაპ. ხელის მოწერა მიიღება—Петербургъ, Бронницкая, N 13. Журналъ „Защита Человѣка."

(5—2) რედაქტორი **მ. ბოლქვაძე.**

ქუთაისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ მდგომარე 1910 წლის 28 აპრილს, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება შეკრება იმ პირთა, რომელთაც სურთ იკისრონ ქალაქის გეგმის (პლანის) შედგენა. პირობების გაცნობა და სხვა საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდი, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. (5—ნ.—1)

15 მარტს

დაიკარგა

საბუთის ქაღალდები. მპოვნელს ვთხოვ წარმოადგინოს სტამბა „ეპოხა"-ში, განოვის ქ. № 3, კარგს საპოვნელას მიიღებს. (1—ნ.—1)

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტი.

22 მარტის სხდომაზე სათათბირომ დაამთავრა სამხედრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. სათათბირომ მიიღო ხარჯთ-აღრიცხვანი. მთავარ სამხედრო-სამკურნალოს გამგეობისა, სამხედრო სამოსამართლო გამგეობისა და სამხედრო სამინისტროს კანცელარიისა. კამათი გამოიწვია პირველმა ორმა ხარჯთ-აღრიცხვამ.

მემარჯვენეები, რომელთაც ოქტომბრისტებმაც დაუჭირეს მხარი, ცუდად იხსენიებდნენ სამხედრო-სამკურნალო აკადემიის წესებს.

პურიშკევიჩმა რევოლიუცია სამხედრო-სამკურნალო აკადემიაშიაც აღმოაჩინა. სტუდენტებმა პროტესტი განაცხადეს სიკვდილით დასჯის წინაამდეგ და ეს კი მეტად საყურადღებო მოვლენააო. აკადემიაში უმრავლესობა მემარცხენე სტუდენტები არიან. აკადემიის სამკითხველოში არ აჭაჭანებენ არა თუ „ზემშჩინას" და „რუსკოე ზნამიას", არამედ „ნოვოე ვრემიასაც". სამკითხველოში ჰკიდია ტოლსტოის სურათიო. ყველა ეს და აგრეთვე ის, რომ აკადემიაში ებრაელები არიან, ორატორის აზრით, მოასწავებს აკადემიის დაცემას და მის გარევოლიუციონერებას.

მარკოვმა მეორემაც კვერი დაუკრა პურიშკევიჩს: აკადემიაში ისეთივე რევოლიუციონური ორგანიზაციებია, როგორიც უნივერსიტეტში: ინსტიტუტი სტაროსტებისა, სტუდენტების ბიბლიოთეკა; იმართება სალამოები, რომლის შემოსავალიც რევოლიუციონურ საქმეებს ხმარდება, არის იქ აგრეთვე შრომის ბირჟა და ებრაელები სარგებლობენ სტიპენდიებით. ებრაელები არ უნდა გავაჭაჭანოთ არა თუ აკადემიაში, არამედ სამხედრო-საფერშლო სკოლებში. ებრაელების მიღება სახელმწიფო ღალატიაო.

ამ ორატორების გარდა სათათბიროს კომისიამაც შეიტანა სურვილი, რომ ებრაელები აღარ იქნენ მიღებულნი სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში. ეს სურვილი სათათბირომ მიიღო.

კამათი გამოიწვია აგრეთვე სამხედრო სამოსამართლო გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვამ. ოპოზიცია შეეხო სამხედრო-სასამართლოების მოქმედებებს. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ჩამოხრჩობა-დახვრეტა არა თუ არა კლებულობს, მატულობს კიდეცაო. ამ ხოცვა-ჟლეტას მხარს უჭერს სათათბიროს უმრავლესობაო. ს.-დემოკრატებმა წინადადება შეიტანეს, სათათბირომ უარ-ჰყოს სამხედრო-სამოსამართლო გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვა. სათათბირომ არ შეიწყნარა ეს წინადადება. მხარი დაუჭირა წინადადებას ოპოზიციამ, მილიუკოვის გარდა.

საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.

ხარჯთ-აღრიცხვით საზღვაო სამინისტროსთვის გადადებულ ყოფილა 97,165,283 მან. კომისიამ ეს თანხა 16,253,048 მანეთით შეამცირა. საზღვაო მინისტრმა მოითხოვა ამ თანხის აღდგენა.

ჩელნოკოვმა, კადეტმა, დიდი სიტყვა წარმოსთქვა. აღნიშნა, რომ საზღვაო სამინისტრო უთავბოლოდ ხარჯავს ფულს და მალ-მალე ახალ-ახალ თანხებს თხოულობს. ორატორი შეეხო აგრეთვე სამხედრო სამინისტროს ქარხნებს და სთქვა, რომ ამ ქარხნებს არ შეუძლიანთ გემების დამზადებაო. ორატორის აზრით, სათათბირომ უნდა მოსთხოვოს სამინისტროს მთელი გეგმა მოქმედებისა.

ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 მარტი.

საზღვარ-გარედ.

სალონიკი. განსაკუთრებულის მატარებლით უსკიუბში გაიგზავნა სალონიკის ჯარის სამი ბატალიონი. ეს ჯარი შეუერთდება იმ ჯარს, რომელიც ჩრდილოეთ ალბანიის დასამშვიდებლად არის გაგზავნილი. ჯარის უფროსად დაინიშნება ჯავიდ-ფაშა, უსკიუბის გარნიზონის უფროსი.

მონასტერში გაიხსნა ალბანელთა კონგრესი. კონგრესს დაესწრო ალბანელთა კლუბების და ორგანიზაციების 25 წარმომადგენელი, კონგრესმა დაადგინა დაარსოს სტამბოლში სათათბირო საბჭო, რომელიც ალბანელებსა და მთავრობის შუა შუამავლობას იკისრებს, წარუდგინოს საერო განათლების მინისტრს მოხსენება და სთხოვოს, რომ ალბანელებში ეროვნული ან-ბანი იქმნეს გავრცელებული და მიიღონ ზომები, რომ მართმადიდებელ ალბანელებში ბერძნები პროპაგანდას აღარ ეწეოდნენ.

პარიზი. სენატი. საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, საზღვაო მინისტრმა განაცხადა: ყოველთვის ვცდილობდი, რომ საფრანგეთის ფლოტი ძლიერი და მოძრავი ყოფილიყო. ახალ ტიპის ჯავშნიანი გემებისაგან განსაკუთრებული ესკადრა შევადგინეთ, მეორე ესკადრაში უფრო ძველი ტიპის გემები შედის... ორთავე ესკადრები ყოველთვის საომრად მზად იქნებიან. განზრახულია ნაღმოსნები თანდათან წყალ ქვეშ მავალი ნავებით შევსცვალოთ. სამინისტროს პროგრამით საფრანგეთს 28 ჯავშნიანი გემი ექნება. საზღვაო პოლიტიკის წარმოება მხოლოდ დიდი გემების საშუალებით შეიძლება. მინისტრს სწამს, რომ ფლოტისთვის გადადებული ფული ტყუილ-უბრალოდ არ დაიხარჯება.

შვიცი. დაიწვა კათოლიკეთა კოლეგია მარიაგილფი. დაიწვა წიგნთსაცავი და მეცნიერული კოლექცია. ზარალი ორ მილიონ მანეთს უდრის.

ლონდონი. ირლანდიელების ლიდერმა რედმონდმა ტიპპერარში გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. რედმონდმა სთქვა: ირლანდიელები იმ შემთხვევაში დაუჭერენ მხარს სამინისტროს, თუ ლორდთა პალატას ვეტოს უფლება წაერთმევა. ბიუჯეტის განხილვის დროს, მთავრობა უნდა დაგვპირდეს, რომ თუ ლორდთა პალატა რეზოლიუციებს არ მიიღებს, იგი ეცდება მეფისგან გარანტია მიიღოს, რომ მეფე რეზოლიუციების გასაყვანად ახალ ლორდებს დანიშნავს, თუ არა და წინააღმდეგ შემთხვევაში გადადგებაო.

ნიუ-იორკი. „ნიუ-იორკ-ჰერალდს" პეკინიდან ატყობინებენ: პრინცი-რეგენტის სასახლეში დინამიტით გატენილი ყუმბარა იპოვეს. დააპატიმრეს რამდენიმე კაციო.

მარსელი. მეზღვაურების სინდიკატების მოწოდების თანახმად მეზღვაურებმა მიატოვეს ყველა კომპანიის გემები. ტრანსატლანტის კომპანია მგზავრებს უბრუნებს ბილეთების ფასს.

სტამბოლი. დილის 10 საათზე სერბიის მეფემ ინახულა მსოფლიო პატრიარქი. ტაძარში შესვლისას პატრიარქმა სიტყვით მიმართა მეფეს. სიტყვა სერბიულ ენაზედ გადასთარგმნა ახლად ნაკურთხმა ეპისკოპოსმა ზარნაბამ. ეკლესიიდან მეფე პატრიარქის სადგომში წავიდა. პატრიარქმა აივნიდან ხალხს მიმართა, პეტრე, მეგობარ და ერთ მორწმუნე ხალხის მეფეაო. პატრიარქმა მეფე წმ. გიორგის ხატით დალოცა. დასასრულ პატრიარქის სადგომში მეფეს მიართვეს შამპანიური. პატრიარქმა დალია სერბიის მეფე-დედოფლის, ტახტის მემკვიდრის და სერბიის ხალხის სადღეგრძელო. ამის შემდეგ მეფე გამოეთხოვა პატრიარქს და სასახლეში წავიდა.

ჰაერში ფრენა

კანნი. გაფრინდა ავიატორი პოპოვი. პოპოვი ლანაპულის ყურიდან მარგარიტის კუნძულებისკენ გაფრინდა და კუნძულებიდან ისევ უკან დაბრუნდა. პოპოვმა სულ იფრინა 18 წუთი.

კესლინი. 21 მარტს, ჰაეროპლანით გაფრინდა ბრესლავლის უნივერსიტეტის პროფესორი აბეგი, მისი მეუღლე, ერთი ქალი და ინჟენერი გერსტელი. ჰაეროპლანის მიწაზედ დაშვების დროს, პროფესორი აბეგი ძალიან დაშავდა და მალე გარდაიცვალა. დანარჩენები გადარჩნენ.

მურმელანი. გაფრინდა ავიატორი ეფრემოვი. ეფრემოვთან ერთად გაფრინდა ორი ქალი. ეფრემოვი 100 მეტრის სიმაღლეზედ ავიდა.

სპარსეთი

ყაზვინი. რუსის ჯარის უფროსი დოვბორ-მუსნიცკი რამდენიმე დღით თეირანში წავიდა.

თავრიზი. ნაშუალამევის 3 საათზე ძლიერი მიწისძვრა იყო.

რუსეთი

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბირომ იმ კომისიაში, რომელმაც უნდა განიხილოს მთავრობის კანონ-პროექტი რუსეთის და ფინლიანდიის საერთო კანონთა გამოცემის წეს-რიგის შესახებ, აირჩია: ფონ-ანრეპი, გრაფი ბენიგსენი, ბობიანსკი, ვეტჩინინი, ვიაზიგინი, გეგეჭკორი, გოლოლობოვი, ეფრემოვი, ზამისლოვსკი, კაპუსტინი, კრუპენსკი, ლადომირსკი, ლვოვი პირველი, მარკოვი მეორე, მატიუნინი, მილიუკოვი, პარჩევსკი, როდიჩევი, რუბცოვი, თავადი ტენიშევი და შუბინსკი. კომისიის თავმჯდომარედ იქნება კრუპენსკი, თავმჯდომარის ამხანაგად კაპუსტინი, მდივნად—ლადომირსკი, მომხსენებლად—გრაფი ბენიგსენი.

ეკატერინოსლავი. დააპატიმრეს კაცურა. ბრალდება სხვებთან ერთად კრასნოსელის სოფლის სამართველოს გაცარცვა. კაცურას ამხანაგი, 11 ტყვიით დაჭრილი, იპოვეს საკვამურში. დაპატიმრებულებს აღმოაჩნდათ გატაცებულ ფულის მეტი ნაწილი, პასპორტის ბლანკები კი ბოროტ-გამზრახველებს დაუწვავთ.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა მწერლების კრების საორგანიზაციო კომიტეტს ნება დართო მოიწვიონ კრება 22—29 აპრილს. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს გრადოვსკი, მის ამხანაგებად სლონიმსკი და ბოროდინი. კომიტეტი მოხსენებებს 12 აპრილამდე კიდევ მიიღებს.

რიგა. დაიწყო ლიფლიანდიის და კურლიანდიის წვრილი კრედიტის დაწესებულებათა წარმომადგენლების კრებები. კრებას დაესწრო სამმართველოს დირექტორი. კრებამ საჯაროდ დაადგინა, რომ დაარსდეს წვრილი კრედიტის დაწესებულებათა კავშირი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. პოლიციამ დააპატიმრა ორი გლეხი, რომელნიც ვერცხლის ყალბ ფულს აკეთებდნენ.

პეტერბურგი. მთავრობამ სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა კანონ-პროექტი გზათა სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ. კანონ-პროექტით სამინისტროს ცენტრალური დაწესებულებანი თითქმის შეუცვლელად რჩებიან. არსდება ახალი დაწესებულება—შინაურ ნავოსნობის შესახებ საბჭო. რკინის გზების გამგეობის მთავარ სამმართველოდ გადაკეთება; ამასთან სამმართველოს უფრო მეტი უფლებები მიეცემა და მასთან დაარსდება ახალი ფინანსიური განყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს საფინანსო საკითხებს. რაც შეეხება ადგილობრივ დაწესებულებებს, კანონ-პროექტით ფართოვდება მათი კომპეტენცია და რკინის გზების უფროსებს წინანდელთან შედარებით დიდი უფლებები ეძლევათ. ამას გარდა, ადგილობრივ დაწესებულებებში შეიზღუდება ფინანსთა სამინისტროს და სახელმწიფო კანტროლის წარმომადგენლების უფლებები. სხვათა შორის, ამ წარმომადგენლებს უფლება აღარ ექნებათ რკინის გზების საბჭოებში შეაჩერონ საქმეების განხილვა. საბჭოებში სათათბირო ხმით მონაწილეობას იღებენ სარაიონო კომიტეტების წარმომადგენლები. რკინის გზის უფროსს შეუძლიან საბჭოს სხდომაზედ მოიწვიოს სხვა და სხვა საზოგადოებათა წარმომადგენლებიც. რკინის გზების მოსამსახურეები ორ წყებად იყოფიან: სახელმწიფო სამსახურში მყოფნი და თავისუფლად დაქირავებულნი. პირველთა რიცხვი უდრის 20,000 კაცს და წელიწადში საერთოდ იღებენ 21 მილიონ მანეთს. მათვის სავალდებულო არ არი საპენსიო კასებში მონაწილეობის მიღება. ამას გარდა კანონ-პროექტით დაარსდება მდინარეზე მიმოსვლის და გზა-ტკეცილების 3 მართველობა. მდინარეებზედ მიმოსვლის და გზა-ტკეცილების გამგეობა ორ დამოუკიდებელ განყოფილებად იყოფა: მდინარეებზედ მიმოსვლის და გზა-ტკეცილების.

პეტერბურგი. კონფისკაცია უყვეს „რუსკ. ზნამიას“ მე-65 ნომერს. გაზეთის რედაქტორი დუბროვინი სამართალში მისცეს.

ჰელსინგფორსი. სეიმმა უმაღლესი წინადადება საერთო კანონ-მდებლობის შესახებ გადასცა ძირითად კანონების სექციას. სექციაში შედიან: მეხელინი, დანიელსონი, კალმარი, ინგმანი, სეტიალია, ესტლიანდერი, მიაკელინი და ალკიო.

ოდესა. დააპატიმრეს ცნობილი ყაჩაღი მალოხლებოვი. მალოხლებოვმა ნიკოლაევში აუარებელი ხალხი გაცარცვა.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომებზე ამ ბოლო დროს ხმოსნები მუყაითად დაიარებიან. 22 მარტის სხდომაზე განსახილველად წარდგენილ 15 საქმიდან ორს-სამს გარდა, სულ წვრილმანი საქმეები იყო. ვიდრე მორიგ საქმეების გარჩევას შეუდგებოდნენ, ხმოსანი ხომასურიძე გაუგებარის რუსულით რაღაცაზე შეეკითხა გამგეობას. თავმჯდომარემ ხატისოვმა უთხრა, კარგი იქნება ყოველ წვრილმან საქმეებზე არ შემოიტანდეთ ხოლმე შეკითხვებს. ჯერ მოგვმართეთ ხოლმე გამგეობას და თუ გამგეობამ ამა თუ იმ საკითხზე არ დაგაკმაყოფილოთ, მაშინ შეგიძლიანთ საბჭოში აღძრათ საკითხიო. ხმოსანი დაკმაყოფილდა პასუხით. ხმოსანი არ. მ. ახნაზაროვიც შეეკითხა გამგეობას: შეგვატყობინეთ, გაზეთის რეპორტერებს ვინ აძლევს ხოლმე ქალაქის გამგეობიდან ცნობებს. ეს მით არის საინტერესო, რომ ხშირად გაზეთებში სიმართლეს მოკლებული ცნობები იბეჭდება და რომ ეს არ მოხდეს, სასურველია პასუხის მგებელი იყოს გამგეობის ესა თუ ის წევრი ან მოხელე იმ ცნობის სინამდვილეში, რომელიც მას გადაუცია გაზეთში დასაბეჭდათაო. თავმჯდომარემ აცნობა ხმოსანს, როგორ იღებენ გაზეთებში დასაბეჭდავ მასალას გაზეთის მომუშავენი და განაცხადა, ცენზორის მაგიერობა გამგეობას არ შეუძლიან, ხოლო რამდენად კეთილ სინიდისიერად იბეჭდება გაზეთებში ცნობები, ამას მკითხველები მიხვდებიანო. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ქალაქის დასაფასებლად შემუშავებულ წესის მე-20 მუხლმა. ამ მუხლის ძალით, კომისიას საჭიროდ უცვნია დასაფასებელ გადასახადის დასაწესებლად სახლის პატრონები 4 ხარისხად გაიყვნენ. ნაკლებ შემოსავლიან სახლებს დააკლდეს 40%, 35%, 30% და 25%. ზოგმა ხმოსანმა ილოტავა 4 ხარისხი და განაცხადა საკითხს ხელმეორედ შესწავლა უნდაო. თანახმად გამგეობის წინადადებისა, საბჭომ აღნიშნულ საკითხის განხილვა და დასაბუთებლად მოხსენების წარდგენა კომისიას მიანდო. დამფასებელ კომისიის წევრად არჩეულ იქმნა დამატებით სტეფანე გალსტიანი. ამ რიგად ქალაქის დამფასებელ კომისიაში არჩეულნი არიან ვ. ი. რცხილაძე, ლ. ფ. ტიგრანიანცი და სტ. არ. გალუსტიანი. ციციანოვის აღმართზე მელიქ ფარსადანოვის მიერ მითვისებულ ქალაქის მიწის შესახებ მოხსენებამაც ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. საბჭომ დაადგინა, მიჰყიდოს $13^{1}/_{2}$ საჟენი მიწა ფარსადანოვს. ფასზე შემდეგ იქნება თათბირი.

✦ **ძველი ნივთები.** რაჭაში, ამბროლაურის ნაწილში, გაჰყავთ ახალი საფოსტო გზა. როგორც გვატყობინებენ, მუშებს თხრის დროს ერეკლე გოცირიძის ადგილში უპოვნიათ 29 გირვანქა ძველებური ვერცხლის ფული, აგრეთვე ვერცხლის ზოდის ნაჭერი, ვერცხლის თასი, სპილენძის თუნგი, ჯამი და ლახტი. ეს ნივთები ბოქაულს ჩააბარეს.

✦ **ყუმბარები.** გურიაში სოფელ მამათში პოლიციას უნახავს 52 გატენილი ყუმბარა.

✦ **სეირნობა.** „განათლების“ საზოგადოების გამგეობას დაუდგენია, 23 მაისში გამართოს ჩვეულებრივი სეირნობა და ლატარია-ალეგრი.

✦ **სხდომა.** დღეს, საღამოს 7 საათისთვის, ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში დანიშნულია სხდომა კავკასიის ესპერანტისტთა საზოგადოების წევრთა, რომელზედაც უნდა აირჩიონ წარმომადგენელი სრულიად რუსეთის ესპერანტისთა კრებაზე გასაგზავნად.

✦ **შუამდგომლობა.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, შემახის მცხოვრებთ კავკასიის ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ ქალაქი შემახა ბაქოს რკინის გზით შეაერთონ.

✦ **ოსების დასახლება კახეთში.** როგორც მკითხველებს ეცნოდინება, დიდ ძალი ოსობა დაიძრა ქართლიდან კახეთისაკენ დასასახლებლად. გუშინ, 23 მარტს, ერთმა დასმა გაიარა ტფილისზე.

✦ **სამკითხველო აბაშაში.** სოფ. აბაშაში დაარსდა წ.-კ. საზოგადოების საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** ორშაბათს, 22 მარტს, მოხდა სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა. გამგეობამ მოისმინა მოხსენება რუსულ სკოლის მასწავლებლის შესახებ, გამოირკვა, რომ რუსულ სკოლის მოწავლეებს სიღარიბის გამო სწავლის ფულის გადახდა არ შეუძლიანთ და ამის მიზეზით მასწავლებლის თვიური ჯამაგირი ვეღარ ეძლევა, გამგეობის წევრმა ქ-ნმა რ-ჩინისამ თანხმობა განაცხადა, 5 მან. აძლიოს ჯამაგირის შესავსებად მასწავლებელს, ვიდრე მოწავლეები შეძლებდნენ სწავლის ფულის გადახდას.

✦ გოლოვინის პროსპექტზე ფეხსადგილების დასუფთავების დროს მეეზოვეს ნახა გიდაცასაგან ნაქურდი 61 პატრონა, 3 ნიკელის საათი, მაკრატელი, სამი დანა, 5 გასაღები და სხვა ნივთები. ნივთები ძრიელ ჩაჟანგულია და ეტყობა, დიდი ხნის ნაქურდია.

✦ ტოლეს საპნის ქარხანაში მომუშავე დიმიტრი კანდელაკმა 22 მარტს პოლიციას განუცხადა, რომ სირაჯხანის ქუჩაზე მას თავს დაეცა რამდენიმე უცნობი კაცი და აუტეხეს ჩხუბი. ჩხუბის დროს კანდელაკს დაჰკარგვია 300 მან. ამ ფულის მოპარვაში ეჭვით დააპატიმრეს სისაკ არზუმანიანცი, ხერატურ ხერატუროვი, ზაქარია შახნაზაროვი. დაპატიმრებულნი კანდელაკმა იცნო.

✦ 22 მარტს რუსთველის ქუჩაზე ნაძალადევში რაჭველს მინა შერეზადაშვილს დაჰხვედრია ორი კაცი, რომელსაც მუქარით ფული მოუთხოვნია, რადგან შერეზადაშვილს უარი უთქვამს, წაუქცევიათ იგი და ჯიბიდან 1 მან. 40 კაპ. ამოუცლიათ. შერეზადაშვილს მეკურტნე მუშა და ამ დღეს 1 მან. 40 კაპ. მეტი ვერ ეშოვნა. დააპატიმრეს გრიგოლ ხოდელიძე, რომელიც მუშამ ერთ გამცარცველთაგანად იცნო.

✦ დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს იოსებ ქერეჟაშვილი, რომელიც საგენერალ გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნება დაურთველად დაბრუნებულა.

✦ 18 მარტს ღასი მელიქ-აივაზოვის მკვლელობაში ეჭვი მიიტანა პოლიციამ და დააპატიმრა კარაპეტ არუთინას ძე ტერმოსესოვი და გრიგოლ აზატოვი.

მოწერილი ამბავი

ხონი. ორი თვე იქმნება, რაც ხონ ეწყვია სინემატოგრაფი „თეატრი ცხოვრება“. სინემატოგრაფის პატრო ნებმა მარტო სინემატოგრაფით გაბე დნიერება არ გვაკმარეს ხონელებს გაგვახსენეს მასთან ერთად „ფოიე“.

უკანასკნელი დღენი იმერეთის სამეფოსი*)

1.

სოლომონ მეორის გამეფება და სამეგრელოს შეერთება რუსეთთან.

1784 წელს 1) მიიცვალა მეფე იმერეთისა სოლომონ დიდი, რომელმაც არაჩვეულებრივი მხნეობა და გამჭრიახობა გამოიჩინა, სახელოვნად დასთრგუნა ყოველივე გაჭირვება-დაბრკოლება, კულტურისა და აღორძინების გზაზე დააყენა მთელი იმერეთი და ჯეროვანი პატივი და მნიშვნელობა მოუპოვა იმერეთს მეზობელს ერებში. სოლომონის დიდ პოლიტიკას, სამეფოს განახლებას ღირსეული მემკვიდრე ეჭირვებოდა, მაგრამ, იმერეთის საუბედუროდ, ასეთი მემკვიდრე არ მოიპოვებოდა. პირდაპირი მემკვიდრე ტახტისა არ დარჩა, რადგან ერთად-ერთი შვილი სოლომონისა, რომელიც იმის განვლენის ქვეშ იზრდებოდა და ღირსეული მემკვიდრეც იქნებოდა, უკვე მამის წინად, 1780 წელს, გარდაიცვალა და მოსალოდნელი ცილობანი ტახტის მემკვიდრეობაზე, ეჭვი არ იყო, მთელის თავის სისასტიკით თავს წამოჰყოფდა. თვით სოლომონსა სურდა მემკვიდრედ ყოფილიყო ძმის წული მისი დავით არჩილის ძე, მაგრამ გარდა დავითისა მემკვიდრედ სთვლიდა თავისს თავს გიორგი, ბუში ბატონიშვილის ალექსანდრე სოლომონის ძისა.

სოლომონ დიდის გარდაცვალების დროს ორივენი მცირე წლოვანნი იყვნენ. ამით ისარგებლა მესამე პირმა, ბიძაშვილმა სოლომონისამ, დავით გიორგის ძემ და ზოგიერთ წარჩინებულ პირთა წყალობით მეფეთ იქმნა გამოცხადებული. გამეფებისათანავე დავითმა სოლომონ დიდის პოლიტიკა გვერდზედ გადასდო და სამეფო ტახტზე გამაგრებას შეუდგა, უპირველეს ყოვლისა, ის წარჩინებულნი პირნი, რომელნიც გარს ეხვივნენ სოლომონს და რომელთა დახმარებითაც ის ეწეოდა დიდს საქმეს სამეფოს აღორძინებისას, შემოიფანტა, სდევნა და ზოგნი იმ ზომამდისაც მიიყვანა, რომ იძულებულნი იყვნენ სრულიად გასცლიყვნენ იმერეთს. მაგრამ დავითისთვის ესეც არა კმაროდა, მფლობელი მემკვიდრე ტახტისა დავით არჩილის ძე, რომელიც თვით სოლომონისაგან იყო მიჩნეული კანონიერ მემკვიდრედ, ძილს უფთხობდა დავითს. ადრე თუ გვიან მცირე წლოვანი მემკვიდრე წამოიზრდებოდა, მოითხოვდა თავისს უფლების აღდგენას და ნებით თუ ძალით ხელში ჩაიგდებდა მას. ამიტომ მოიშორა რა რიგ-რიგით ის პირნი, რომელნიც სოლომონის დროს იმის კარის ახლოს მუშაობდნენ, ხოლო შემდეგ მცირე წლოვან ბატონიშვილის დავითის ირგვლივ იკრიბებოდნენ, ეხლა თვით დავითის მოშორებასაც შეუდგა. მცირე წლოვანი ბატონიშვილი, მეფისაგან შევიწროვებული, თავის მომხრეებით ჯერ იმერეთის ერთ-ერთ ციხეს შეეფარა და მერე, როცა აქაც საქმე გაუჭირა და მოსვენება არ მისცა მეფემ, ახალციხეში გავარდა და იქიდან თავისს პაპას ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლეს ეახლა 2) 1787 წელს.

უკმაყოფილება იმერეთში თან და თან იზრდებოდა. ბატონიშვილის დავითის გაძევებით ხომ უკმაყოფილო გახდა მეფე ერეკლეც და მით უმეტეს სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი, რომლის კარათაც ერთ დროს იზრდებოდა ბატონიშვილი. დავითი გადაეკიდა გრიგოლს, გავიდა სამეგრელოში, ააოხრა იგი და მოსწვა თვით ოდიშიც 3). უკმაყოფილოთ და მეფისაგან დევნილთ მოიწვიეს ლეკნი და ოსმალნი, მაგრამ დავითისაგან ძლეულ იქმნენ და როცა ამ გზით ვერას გახდნენ, მაშინ იმერეთის წარჩინებულნი და დიდებულნი, რომელთა შორისაც იყვნენ გენათელი ექვთიმე, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სახლთ-უხუცესი ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე და მრავალნი სხვანი, ეახლნენ მეფე ერეკლეს ტფილისში და სთხოვეს შეერთებინა იმერეთიც ქართლ-კახეთისათვის, „ვითარცა იყო ერთმთავრობის დროსა“ 4).

საძნელო იყო ერეკლესთვის ამისი გადაწყვეტა იმ დროს. ერეკლე ალბად თითონაც მოხარული იქნებოდა, რადგან მას უფრო ნათლადა ჰქონდა წარმოდგენილი საჭიროება შეერთება-შეკავშირებისა, მაგრამ სავალალო ის იყო, რომ მემკვიდრე ტახტისა არსებობდა, თვით სოლომონ დიდისაგან აღიარებული, და ეს მემკვიდრე კიდევ—შვილიშვილი იყო ერეკლესი. რომ იმერეთი შეერთებინა, ვერ იქნებოდა ეს კავშირი მტკიცე და ხანგრძლივი, დავით არჩილს ძე ერთხელაც იქნებოდა თავისს დარღვეულს უფლების აღდგენას მოითხოვდა და კვლავ განსაცდელში ჩააგდებდა სამეფოს. ერეკლემ უფრო მოსახერხებლად დაინახა იმერეთში ეხლავე გამეფება დავით არჩილის ძისა, ხოლო ერთობასა და კავშირის დასაცველად ერეკლემ საჭიროდ დაინახა ტრაქტატით შეკვრა ქართლ-კახეთისა, იმერეთისა და სამეგრელო-გურიისა. ეს ყველა მეფეთა და მთავართაგან ხელმოწერილი ტრაქტატი სულ ექვს მუხლს შეიცავდა. მთავარი ძარღვი ტრაქტატისა იმაში მდგომარეობდა, რომ მეფეები და მთავარნი მოვალენი ხდებოდნენ საერთო ძალით გამკლავებოდნენ რომელიმე მათგანზე მოსულს მტერს და ყოველისავე გაჭირვებაში და მტრისაგან თავდასხმაში ერთსულოვნობით ემოქმედნათ. ერთის სიტყვით, მტერი რომელიმე მათგანისა მტრად უნდა მიეჩნიათ ყველა მათგანს და მოყვარე კიდევ—მოყვარედ 5).

ამ რიგად გათავდა იმერლების დესპანობა ერეკლესთან. უკან დაბრუნებულ იმერეთის წარჩინებულ პირთ ერეკლემ გამოატანა თან ბატონიშვილი დავითი, რომელთაც რაჭის გზით საიდუმლოთ უნდა გადაეყვანათ სამეგრელოში, რომლის მთავარი გრიგოლიც მტრულს განწყობილებაში იყო იმერეთის მეფესთან და აქედან სამეგრელოს მთავარი და იმერეთის წარჩინებულნი შესეოდნენ ჯარებით იმერეთს დავითის ტახტიდან ჩამოსაგდებად. ამავ დროს ერეკლეს ბრძანებით ქართლის მხრიდან უნდა შესეოდა ჯარებით ბატონიშვილი დავით გიორგის ძე. ორივ მხრიდან ანაზდეულად მიტანილს იერიშს ვერ გაუძლო იმერეთის მეფემ და იძულებული შეიქმნა ფარ ხმალი დაეყარნა და ახალციხისაკენ პირი ექნა. გამარჯვებული დავით არჩილის ძე აიყვანეს ტახტზე და გაამეფეს სოლომონ მეორის სახელწოდებით. ეს მოხდა 1789 წელს 11 ივლისს.

ახალციხეში გაქცევა დავითისა არაფერს სახეიროს არ ამბობდა. ახალციხის ფაშა მუდამ მზად იყო, ყოველ ლტოლვილისათვის დახმარება აღმოეჩინა, ოღონდ კი მისთვის რამე სახეირო ყოფილიყო. იმის კარს მუდამ მზად იყვნენ დარაზმულ-შეიარაღებული ურდოები ლეკებისა, რომელთათვისაც ერთი დაწრუწუნება იყო საკმარისი, რომ შესევოდნენ და აეკლოთ ვინმე. ახალციხე მაშინ მეორე ჭარ-ბელაქანს წარმოადგენდა. თუ ჭარ-ბელაქანი პირველი ადგილი იყო, სადაც დაღესტნიდან ჩამოსული ლეკთა ურდოები თავს იყრიდნენ და მთელს აღმოსავლეთ საქართველოს მუსრს ავლებდნენ, ახალციხე დასავლეთ საქართველოსათვის ასეთსავე როლს თამაშობდა. აქედან ახალციხის ფაშის ქომაგით წათამამებულნი მუსრს ავლებდნენ გურია-იმერეთ-სამეგრელოს და დახმარებას უწევდნენ ყველა იმას, ვისზედაც კი ფაშა მიუთითებდა. ლტოლვილი მეფე ფაშამ მეფურის პატივით მიიღო და ცას დაეწია, რომ კვალად შემთხვევა ეძლეოდა ხელი წაეპოტინებინა იმერეთისაკენ, საიდგანაც ხელი დააბანინა ოსმალეთს სოლომონ დიდმა. ახალციხის ფაშის ამგვარის მიღებით გული მოეცა ლტოლვილს მეფეს, მისის დახმარებით სამჯერ შემოესია იმერეთს, თუმცა ვერც ერთხელ ვერ სძლია სოლომონს, მაგრამ სამაგიეროდ დიდს ზარალს აძლევდა, 17 ათას კაცზე მეტი წაიყვანეს ტყვეთ თურქებმა და ლეკებმა და ოსმალეთის ბაზრებზე გაჰყიდეს. 6) დიდ უბედურობას წარმოადგენდა იმერეთისათვის ამოდენა ზარალ ამიტომ იმერლებმა უკანასკნელ ძალ-ღონე მოიკრიფეს და უკანას ნელ შემოსევის დროს საშინლა დაამარცხეს ლეკ-თურქთა შეერთ ბული ჯარი და თვით ყოფილი მ ფეც ტყვედ იგდეს ხელში. ტყვე ჩავარდნილს მეფეს სიკვდილი ა ასცდებოდა, მაგრამ ერეკლე მე ჩაერია საქმეში, სამუდამოდ უარ ათქმევინა დავითს ტახტის მაძიებ ლობაზე, შეარიგა სოლომონ მეფე სთან და სარჩენად რამდენიმე ს ფელი მიაცემინა იმერეთში.

ოსმალთათვის არაფრად სასიამო ნო იყო ამ რიგად საქმის დაბო ლოვება და ახალციხის ფაშამ ვ თომ დავითის ტახტზედ ასაყვანა დასძრა ჯარები ქართლის ასაოხრ ბლად. სამაგიეროდ ერეკლემ ბატო ნიშვილი დავით გიორგის ძე გაგ ზავნა ახალქალაქის ასაოხრებლა მაგრამ ფაშამ ბატონიშვილის მო რაობას თითქოს ყურადღება ა მიაქცია, გაბრაზებულმა ბატონ შვილმაც ახალქალაქიდან ჯარი ყარ შეუსია. ბატონიშვილს თან ახლ 1000 კაცამდის, თურქებმა დიდძა ჯარი მიუსიეს ალი-ბეგისა და მამე ბეგის სარდლობით, მაგრამ 23 წლ ბატონიშვილმა საკვირველი მამაც ბა გამოიჩინა და საშინლად დაამ ცხა ყველგან ოსმალნი, გაახ ოსმალთა სოფლები ინჯადრა, ფ ლდრევანი, ჯომუშელი და დი ძალის ნადავლითა და მრავალ ტყვეებით უკან გამობრუნდა. 7)

გაწბილებული ახალციხის ფა სულეიმანი, რა დარწმუნდა, რ ამით ვერაფერს გააწყობდა, ახ სხვა ხერხს მიჰმართა. ყოფილ მე სთან საიდუმლო მიწერ-მოწერა გ მართა და შეჰპირდა ხელმეორედ ტ ხტზე აყვანას, თუ დაეხმარებო

---

*) წელს შესრულდა ასი წელიწადი, რაც იმერეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა. პროფ. ხახანაშვილის სიტყვით სწორედ ამ მარტს შესრულდა ასი წელიწადი.

1) ქართულ ისტორიულ მწერლობაში სოლომონის გარდაცვალების წლად 1782 წ. აღნიშნული, მაგრამ როგორც მკვლევარი თ. ჟორდანია ამტკიცებს უეჭველის საბუთებით, ეს უნდა მომხდარიყო 1784 წ. იხ. „მოამბე“ 1905 წ. N 5.

2) იხ. Бутковъ: „Матеріалы для новой исторіи Кавказа“, т. II, გვერ. 283.

3) იხ. მასალები საქართველოს ისტორიისათვის ბატონიშვილებისა, გვ. 36.

4) იხ. „გიორგი მეცამეტე“, გიორგი იოსელიანისა. გვ. 18.

5) Ibidem გვ.

6) იხ. Дубровинъ: „Закавказье“ 1803—1806. გვ. 154.

7) იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 513.

თუ სინემატოგრაფმა ვერ დაიმსახურა თანაგრძნობა ხალხისა, სამაგიეროდ „ფოიემ“ დიდძალი ხალხი მიიზიდა. მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ სინემატოგრაფში ბანქო-ლოტოა და ნარდის თამაში არ შეიძლება, ხოლო „ფოიე“-ში კი შეიძლება. ხონელებს ძალიან უყვართ ბანქო, ნარდი და ლოტო. მე არც იმას მოუწოდებ საზოგადოებას, რომ სინემატოგრაფში იარონ, მაგრამ, უთუოდ შემთხვევაში, სინემატოგრაფში შესვლა სჯობია ამ რადაც „ფოიეში“ შესვლას და იქ თამაშობას.

სინემატოგრაფები საზოგადოდ გვწყალობენ ხონელებს. ჯერ პირველ სინემატოგრაფს სული არ ამოხდენოდა, რომ მეორე გვეწვია. გვეწვია სინემატოგრაფი „ილიუზიონი“ და შეგვპირდა 4 დღით გაბედნიერებას, თანაც გვამცნო აფიშებით, რომ ამისთანა სურათებს დაგანახვებთ, რომლის ნაირიც ჯერ არა ყოფილაო. კარგი კიდევ, ხალხი არ მოსტყუვდა ამ რეკლამით.

20 მარტს მსახიობმა ქუთაისის დრამატიულ დასისამ გრიგოლ ჩარკვიანმა და ქუთაისისავე სცენის მოყვარებმა დასდგეს ქართული წარმოდგენა. ყველა დარწმუნებული გეყავით, რომ ქუთათური სცენის მოყვარენი და ქუთათური მსახიობნი წარმოდგენას კარგათ ჩაატარებდნენ. წარმოდგენილ იქმნა. „დუკის ქალი გულჯავარ, ისტორიული დრამა ა. ცაგარლისა და ვოდევილი „რუკა ვერხ“. ყველა გაიძახოდა ქუთათურ საზოგადოებას თუ აკმაყოფილებს ამათი თამაში, ნუ თუ ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებსო. საუბედუროდ, იმედი გაგვიცრუვდა მაშინ, როდესაც ფარდა აიწია და „არტისტების“ ლაპარაკი გაისმა. წარმოდგენა არ გარგოდა. ყველამ ცუდად ჩატარა თავისი როლი, გარდა ჩარკვიანისა, რომელიც ლევანის როლს ასრულებდა. როლები გაუზეპირებიათ, მაგრამ მაინც ულაზათოდ თამაშობდნენ. დასასრულ ითამაშეს მხიარული „რუკი-ვერხ“. ბევრი აცინეს საზოგადოება ტუმანიშვილმა და ჩარკვიანმა.

ვინმე ქართველი.

ქ. კიევი. 3 და 5 მარტს სახ. სათათბიროში მომხდარმა ინცინდენტმა —პურიშკევიჩის მიერ რუსეთის მოსწავლე ახალგაზრდობის შეურაცყოფის შესახებ მთელი სტუდენტობა და მასთან მთელი მოწინავე რუსეთი აალელვა. რაც მოხდა 3 და 5 მარტს სახ. სათათბიროში, მკითხველს უკვე ეცოდინება. სტუდენტობა აღელვებულია არა პურიშკევიჩის წინააღმდეგ, რომელიც პირველად არ გამოდის ასეთ სამარცხვინო როლში, არამედ სახ. სათათბიროს პრეზიდიუმის და იმის უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელმაც ნებ. მისცა კაცთ მოძულე პურიშკევიჩს თავის უწმინდურის პირით ტალახი გადმოესროლა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართ. არც სტუდენტობა და არც საზოგადოება პურიშკევიჩის გამოსვლას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, რადგან იგი არა კაცს ნორმალურ ადამიანად არ მიაჩნია. ამისთანა მარგალიტი ბევრი მოგვისმენია პურიშკევიჩის, მარკოვ მეორის, ტიმოშკინის და სხვათა მიერ და იმედია, სანამ მესამე სახ. სათათბირო იარსებებს, ბევრს კიდევ მოვისმენთ. მაგრამ იმას კი არ ვფიქრებდით, რომ 3 და 5 მარტს სახ. სათათბ. თავჯდომარე და მისი უმრავლესობა პურიშკევიჩის სიტყვას დასტურს დასცემდნენ თავიანთ სიჩუმით. ამან აალელვა სათათბ. მთელი ოპოზიცია და ყოველთვის თავდაჭერილმა მილიუკოვმაცკი უკიდურეს მემარცხენეებთან ერთად ობსტრუქციას მიმართა, რისთვისაც იგი და ოპოზიციის რამდენიმე წევრი დასჯილ იქმნენ სათათბ. უმრავლესობის მიერ. ამ ინცინდენტის შემდეგ არ დარჩა არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი რუსეთში, სადაც სტუდენტობას კრება არ მოეხდინოს და პროტესტი არ გამოეცხადებინოს პურიშკევიჩის, სათათბ. თავჯდომარის და მის უმრავლესობის წინააღმდეგ და ამასთანავე თანაგრძნობა და მადლობა ოპოზიციისათვის სტუდენტობის გამოქომაგებისათვის.

კიევშიაც ყველა უმაღლეს სასწავლებელში, გარდა უნივერსიტეტისა, გაიმართა კრებები და საპროტესტო რეზოლიუციები გამოიტანეს. 10 მარტს მოხდა კრება ქალთა უმაღლეს კურსებზე. ამავე დღეს იყო კრება საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში. 11 მარტს მოხდა მრავალ რიცხოვანი კრება საკომერციო ინსტიტუტში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მემარჯვენე სტუდენტები წინააღმდეგნი იყვნენ უთუოდ პროტესტის გაგზავნისა სათათბიროში. ამათ მეორე დღეს ინსტიტუტის შენობაში მოწოდება გამოაკრეს და იწვევდნენ თანამოაზრეებს, ხელი მოეწერათ ფურცელზე, რომ გაებათილებინათ წინა დღეს გამოტანილი რეზოლიუცია. სამწუხაროდ ქართველებშიაც აღმოჩნდა რამდენიმე პირი, რომელთაც თავიანთ სამარცხვინოდ ხელი მოაწერეს ამ ფურცელს. გარდა ამისა, ყველა უმაღლეს სასწავლებლის კავკასიელმა სტუდენტობამ ცალკე ზემოხსენებულ შინაარსის დეპეშა გაუგზავნა სათათბიროს ოპოზიციას. 11 მარტს უნდოდათ უნივერსიტეტში ნებადაურთველი კრება მოეხდინათ სტუდენტებს, რადგან რექტორმა (მავრაზმელია) ნება არ დართო, მაგრამ მთავრობამ შეიტყო ეს და ამ დღეს დილიდანვე ყველას, ვინც შედიოდა უნივერსიტეტის შენობაში, შესავლელ ბილეთებს ართმევდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ კრება მოხდებოდა, კრების მონაწილენი სცოდნოდათ. ამის გამო, არ მოხდა კრება. სამაგიეროდ „აკადემისტთა პარტიის“ სტუდენტმა-წევრებმა თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნეს პურიშკევიჩს და დიდად ანუგეშეს, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტის „ჭეშმარიტ რუსთა“ განყოფილების წევრმა სტუდენტებმა პროგრესისტ სტუდენტებთან ერთად დაჰგმეს პურიშკევიჩი. 12 მარტს უნივერსიტეტის შენობაში „აკადემისტთა პარტიის“ ერთმა წევრმა იქ მყოფს ქართველებს „კავკასიის მაიმუნები“ უწოდა. ამის გამო დიდი ალიაქოთი ასტყდა. რამდენმამე ქართველმა საჩხუბრად გაიწია, მაგრამ სხვებმა არ გაუშვეს. ამაზე, როგორც სთქვეს, რექტორს საყვედური გამოუცხადებია „აკადემისტებისთვის“. ამის შემდეგ ქართველმა სტუდენტებმა გაზეთ „კიევსკაია მისლში“ დასტამბეს „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელშიაც აკადემისტებს აფრთხილებდნენ.

Chamois.

სანიტარული ამბავი

ტფილისის მდებარეობა, ცენტრის ადგილების სიდაბლე და განაპირა ადგილების სიმაღლე, მეტისმეტად ხელს უნდა უწყობდეს ქალაქს სისუფთავის დაცვაში, რომ განაპირა ადგილებს მეტი ყურადღება ჰქონდეს მიქცეული. ქალაქის ავან-ჩავანნი კი მარტო ცენტრზე ზრუნავენ და განაპირებისთვის არა სცალიათ. სწორედ ამისთვისაა ხოლმე, რომ დიდი წვიმის შემდეგ ქალაქის განაპირა ადგილები დასუფთავებულია, ხოლო ცენტრი კი ნაგვითაა სავსე.

მე, როგორც სასანიტარო ზრუნველმა, გუშინ დავათვალიერე რკინის გზის გაღმა სურფ-კარაპეტის ხევის დასაწყისი. იქვე ყაზარმებია. ამ ხევში ეზიდებიან და ჰყრიან ნაგავს და უსუფთაობას ეტყობა, არასოდეს არ გასუფთავებულა ეს ადგილები, 2—3 არშინის სისქეზე დევს იქ ნაგავი, ჰქექენ ყაზარმის ღორები და სხვა. ერთად-ერთი გამწმენდავი იქ წვიმის ნიაღვარია.

ახლა მიბრძანდით დიდუბეში და დაათვალიერეთ იქაური წყლის არხი. ის არხი ხომ დასაწყისია მიხეილის პროსპექტზე გამოყვანილ არხისა! დიდუბეში, მუშტაიდიდან ეკლესიამდე არხში წყალია შეგუბებული, აშმორებული, გამწვანებული, ხავს მოკიდებული და იქაური მცხოვრებნი კი, ნაცვლად იმისა, რომ იზრუნონ არხის გასაწმენდად, იქვე ჰყრიან ნაგავს და ამით აორკეცებენ ასეთ სიბინძურეს. „წყალი სათავიდან უნდა დასწყდესო“, ნათქვამია და როგორც ყოველ გვარი ბოროტება, ისევე სიბინძურე, იქ უნდა მოისპოს, სადაც პირველად ჩნდება, სადაც მისი დასაწყისია.

ვინც გოლოვინის პროსპექტს ან ერევნის მოედანს არ გასცილებია, მას ტფილისი სუფთა ქალაქად მოეჩვენება, მაგრამ ნამდვილად კი ტფილისს სიბინძურის რკალი არტყია გარს და სამწუხაროდ ეს რკალიც უმრავლესად ისეთ შეუგნებელ ხალხითაა დასახლებული, რომ ძნელად თუ ვინმე იზრუნებს ხოლმე სისუფთავისთვის.

სასანიტარო მზრუნველებმა ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს, მაგრამ თუ თვით მცხოვრებლებმაც დახმარება და თანაგრძნობა არ გაუწიეს, მოუხერხებელი იქნება ქალაქის დასუფთავება.

გიგო თოიძე

უცხოეთი

გლადსტონის ლიგა.

უკანასკნელ არჩევნების დროს სოფლის ოლქებში, როგორც ჩვენს მკითხველს ეხსომება, მემამულეები და მღვდლები ათასნაირ ძალდატანებას არ ერიდებოდნენ, რომ სოფლელ მუშებს მათის კანდიდატებისთვის მიეცათ ხმა და არა ლიბერალურ პარტიის კანდიდატებისთვის. მაგალითად, ერთ მებაღეს თავის სადგომის ფანჯარაში დაეკიდნა ლიბერალურ პარტიის კანდიდატის სურათი. მეორე დღესვე მის მებატონეს ბრძანება შემოეთვალა, მებაღემ საჩქაროდ დაცალოს სადგომიო. სოფლის მედუქნის ცოლი და ქალი დასწრებოდნენ ლიბერალთა მიტინგს. მღვდელი მაშინვე დამუქრებოდა მედუქნეს, ემ წამსვე გაგაძევებთ სოფლიდან, თუ შენ სახლობას სწორე გზაზე არ დააყენებო. არჩევნის დღეს ერთი სოფლელი მუშა ლიბერალთა ავტომობილში ენახათ ჩამჯდარი ეს მუშა იმ წამსვე დაითხოვეს თურმე ადგილიდან. ერთს ინგლისურ პროვინციალურ გაზეთში ამ დღეებში დაბეჭდილი იყო ერთი მღვდლის მეტის მეტად ურცხვი და ფარისევლური წერილი. მღვდელი სწერს: „ყოველი კონსერვატორი მებატონე და ფერმერი მოვალეა არა დროს არ მიიღოს თავისთან სამსახურში ისეთი კაცი, რომელიც რიგზე არ დაიარება ეკლესიაში და უნიონისტი არ არის, არც იჯარით უნდა მისცეს ლიბერალს მიწა, თუ სახლი. ჩვენს დროში დისინტერები (არა ანგლიკანურ სარწმუნოებისანი) ხშირად სოციალისტები არიან. თავის თავად ცხადია, რომ თუ ჩვენ სოფელში მუშა-რადიკალს შემოუშვებთ, ამით მტერს უშვებთ ჩვენს ციხეში. და თუ რადიკალ-საქმის მწარმოებელს ვასახლებთ ჩვენს მამულში ეს სულ ერთია, რომ მტრის აფიცერი მთელის რაზმით შეუშვათ ჩვენს ციხეში. დაე, იმათ, რომლებსაც სოციალიზმისა და რადიკალიზმის შემწეობით ჰსურთ ჩვენი იმპერიის დანგრევა,—თითონვე უშველონ თავიანთ მიერვე მოტყუებულებს“.

ამ წერილიდან ცხადად ჩანს, თუ რა ძლიერადაა ამ ჟამად გამწვავებული პოლიტიკური ბრძოლა ინგლისში.

ასეა თუ ისე, უკანასკნელ არჩევნების დროს მებატონეები და სამღვდელოება ხშირად აშინებდნენ ხოლმე სოფლელ მუშებს. ამის საპასუხოდ ლიბერალებმა დაარსეს ლიგა, რომელმაც უნდა დაიცვას ეკონომიურად დამოკიდებული ამომრჩევლები. ამ ლიგაში, რომელსაც სახელად გლადსტონის ლიგა დაარქვეს, სულ მოკლე ხანში ჩაეწერა 10 ათასამდე წევრი, რომლებსაც წელიწადში შეაქვთ თითოს 1 შილინგიდან (50 კაპ.) 100 გირვანქამდე (1000 მან.) ყველაზე დამონავებულ ამომრჩევლებად ინგლისში უნდა ჩაითვალნენ სოფლელი მუშები, რომლებიც ყველაფერში დამოკიდებულნი არიან მებატონისა და მღვდლებისგან. მე-80 წლებში ჯოზეფ არჩი შეეცადა სოფლელ მუშების პროფესიონალურ კავშირის მოწყობას, მაგრამ ეს კავშირი მალე დაიშალა სოფლელ მუშების უკულტურობისა და სიღარიბის გამო. სოფლელ მუშას ყოველი გრაში გამოანგარიშებული აქვს, ამიტომ მ ს არ შეუძლიან საწევრო ფულის გადახდა. გლადსტონის ლიგა უმთავრესად დაიცავს სოფლის მუშების ინტერესებს, მაგრამ იგი ქალაქებშიაც იმოქმედებს.

10 მარტს მოხდა ლიგის პირველი საზოგადო კრება. ლიგის მეთაურმა ფინანსთა მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა სიტყვა წარმოსთქვა: ჩვენი მტერი ფეოდალიზმია, და უთუოდ ბოლო უნდა მოვუღოთ ამ მტერს. ინგლისის პროგრესიული პარტიები ძლიერ მეცადინეობენ, რომ ლიბერალიზმი ძირიან-ფესვიანად ამოაგდონ ჩვენში. მეორეს მხრით რეაქციონერი ელემენტებიც დიდის მხნეობით ცდილობენ ამავ ფესვების გამაგრებასა და საზრდოობას: ამის გულისთვის ისინი ხან „სატარიფო რეფორმას“ ურჩევენ ხალხს, ხან „ზედა პალატის რეფორმას“. ფეოდალიზმი თავის საადგილმამულო წესებით ხალხს სოფლის საღ ცხოვრებას ატოვებინებს და ერეკება ქალაქის დახაშმულ ატმოსფერაში. ფეოდალიზმი გზაში ეღობება ყოველ ნამდვილ რეფორმას, ეხლანდელ დროისგან წამოყენებულს. ლოიდ-ჯორჯმა უამბო კრებას, თუ რა დიდი გავლენა აქვს უელსში „ფეოდალიზმს“, ესე იგი მებატონეთა წრეებს. 1868 წლამდე იქაური მშრომელი ხალხი ისეთივე რადიკალური იყო, როგორც ეხლაა; მაგრამ მაშინ მებატონეებს ხელში ეჭირათ სოფლის ამომრჩევლე-

---

ოსმალეთისაგან სოლომონ პირველის მიერ წართმეულ ციხეების დაბრუნებაში და იმერთა მეფის მოკვლაში. ყოფილი მეფე დისთანხმდა და დაჰპირდა თავისს მხრივ კიდევ დადიანისას, გურიელისას და სამეფოდან განდევნილის და ერთ დროს ოსმალთაგან იმერეთის მეფედ გამოცხადებულის, აბაშიძის მიმხრობას. 8) მაგრამ ფაშასთან მიწერ-მოწერა ჩქარა შეუტყო სოლომონ მეორემ და პასუხი მოსთხოვა დავითს, რომელიც ერეკლესთან მიცემულის პირობის ძალით ჰქვიანად უნდა მჯდარიყო თავის სოფლებში. დავითი გამოტყდა ყველაფერში, სთხოვა პატივება და ჯვარსა და სახარებაზე შეჰფიცა, რომ დღეის იქით წყნარად იქნებოდა და ყოველსავე დამოკიდებულობას ფაშასთან შესწყვეტდა. დასამტკიცებლად ამისა მძევლად მისცა თავისი ღვიძლი შვილი კონსტანტინე, რომელიც სოლომონმა მუხურის ციხეში გამოამწყვდია. 9)

დროებით სიმშვიდე ჩამოვარდა, მაგრამ არა დიდის ხნით. თუმცა ყოფილმა მეფემ ასეთი მტკიცე პირობა მისცა, მაგრამ მაინც საეჭვო იყო, მისი სიმშვიდე. ღვარძლითა და შურით სავსე გულში სულ სხვა ფიქრები უტრიალებდაო, ამბობს თვით სოლომონი გრაფ გუდოვიჩთან მიწერილ ერთს წერილში. დავითი მხოლოდ მიზეზსა და დროს ეძებდა, რომ ხელ-ახლივ შფოთი და დავიდარაბა აეტეხნაო. მიზეზიც ჩქარა გამოჩნდა. სოლომონმა კლდეზე გადმოაგდებინა და მოაკვლევინა საყვარელი ყმა დავითისა ბუჭუა მასხარაშვილი. 10) დავითისთვის საკმარისი იყო ეს, მაშინვე გაიქცა ახალციხის ფაშასთან, ფაშა სიხარულით ცას დაეწია.

ამავე დროს სოლომონს უსიამოვნობა მოუვიდა გრიგოლ დადიანთან. სოლომონმა ნამდვილის წყაროებიდან შეიტყო, რომ დავითისათვის მართლა დახმარება აღეთქვა დადიანს, როცა პირველმა განიზრახა მისი ტახტიდან ჩამოგდება ახალციხის ფაშის დახმარებით, ამიტომ მოინდომა დადიანის დასჯა, გავიდა სამეგრელოში და შეესია ოდიშს. დადიანი სასტიკად დამარცხდა, მიატოვა სამეგრელო და აფხაზეთში გაიქცა, სოლომონმა იმის ადგილას სამეგრელოს მთავრად დასვა ძმა მისი მანუჩარი. 10)

აფხაზეთში გავარდნილმა გრიგოლმა მიიმხრო აფხაზეთის მთავარი და გამოილაშქრა იმერეთზე. ახალციხეში ლტოლვილმა დავითმა ეს დრო მეტად მოხერხებულად სცნო და ლეკ-ოსმალთა შეერთებულის ჯარით დაიძრა იმერეთისაკენ. გარდა ამისა, დავითის მომხრეებმა და განსაკუთრებით ვინმე ვაკელმა დალაქიშვილმა 11) თვით იმერეთში დაიწყეს ხალხის ამბოხება, რისგამოც ბევრნი გადაუდგნენ სოლომონს. ერთის სიტყვით, ყოველ მხრიდან, შიგნიდან და გარედან მტრები მიადგნენ სოლომონს, ძნელი იყო ერთბაშად მარტო საკუთარის ძალით ყველასათვის პასუხის გაცემა და სოლომონიც ამიტომ დამარცხდა და დროებით პაპუნა წერეთლის სახლს შეაფარა თავი, საიდანაც ფიცხლავ ერეკლე მეფესთან აფრინა კაცები და თავისი გაჭირვება შეატყობინა. გამარჯვებულმა დავითმა ხელმეორედ გამოაცხადა თავისი თავი იმერეთის მეფედ, მაგრამ რადგან მარტო ეს საკმარისი არ იყო, ამიტომ ლტოლვილს მეფეს გამოუდგა. ქართლის საზღვრებზე მას დაუხვდა ჯარით ერეკლე მეფისაგან გამოგზავნილი ბატონიშვილი ივანე გიორგის ძე. ბრძოლა მოხდა ლოსიანთხევს, ბრძოლა სასტიკი და შეუპოვარი. ეს ბრძოლა უნდა ყოფილიყო ბედის გადამწყვეტი ერთისა და მეორე მხარისათვის. ქართლელებს მეტად ცოტა ჯარი ჰყავდათ, რომლის რიცხვიც **1000** კაცს არ აღემატებოდა დუბროვინის თქმით, ხოლო ბატონიშვილის თქმით **500** კაცს, მოწინააღმდეგეებს კი **10,000** კაცზე მეტი ჰყავდათ ლეკი, ოსმალო, აფხაზი, მეგრელი. ქართლელები იბრძოდნენ თავგამოდებით, მათ თანა ჰქონდათ ორი საველე ზარბაზანი, რითაც მუსრს ავლებდნენ მოწინააღმდეგეებს. ოსმალ-ლეკთა შეერთებული ჯარი იძლია, გაიქცა და ქართლელთ დარჩათ მრავალი ნადავლი და ტყვეები, რომელთა შორისაც 250 ლეკი ერია 12).

დავითი გაიქცა ისევ ახალციხეს, ხოლო დადიანი აფხაზეთში. სოლომონმა დაიჭირა ხელახლა იმერეთი და მოსწყვიტნა ყოველნი ურჩნი და მეამბოხენი.

მაგრამ არ ისვენებდა ყოფილი მეფე დავითი, იმან მცირე ხანში ფაშის დახმარებით შეჰკრიბა კიდევ ჯარები და კვალად მიადგა იმერეთს. სოლომონმა სძლია, მაგრამ მტერი შეიკეტა სამეგრელოს მთებში და სოლომონს არ შეეძლო მათი იქიდან გამოდევნა. ამ დროს ერეკლემ ხელახლა მიაშველა სოლომონს ალექსანდრე ბატონიშვილი, მტერი გამოსდევნა მთებიდან და უკუ აქცია. დავითთან წამოსული საშველად აფხაზეთის მთავარმა ქელეიშ-ბეგმა რა გაიგო დავითის დამარცხება, უკანვე გაბრუნდა და ველარ გაბედა სოლომონთან შებმა. დავითი კვლად ახალციხეში გავიდა, იქ გახდა ავად ყვავილით და გარდაიცვალა 1795 წელს 12 იანვარს.

ამ რიგად, სოლომონმა თავიდან მოიშორა ერთი მოქიშპე, მაგრამ სამაგიეროდ თავი წამოჰყო მეორე მოქიშპემ. ეს მეორე მოქიშპე, როგორც წერილის თავშიაც მოვიხსენიეთ, იყო ბუში ანუ უკანონო შვილი სოლომონ დიდის ძის ალექსანდრესი, გიორგი. რადგან სოლომონის ერთად-ერთი ძე უშვილოდ გარდაიცვალა, ამიტომ ამ გიორგის სოლომონი თავის კარადა ზრდიდა, და ის უვლიდა, როგორც ნამდვილს შვილი-შვილს და ერთს დროს აზრადაც ჰქონდა მემკვიდრეობა მისთვის გარდაეცა. შემდეგ სოლომონ მეორის გამეფებისა, ისევ დატოვებულ იქმნა მეფის კარად და სოლომონი ტკბილად ეპყრობოდა. მაგრამ გარდაიცვალა თუ არა ყოფილი მეფე დავითი, სოლომონის კეთილი განწყობილება გიორგისადმი სრულიად დაირღვა. მეფის მოწინააღმდეგეებმა დადიანმა და წულუკიძეებმა ახლა მისი კანდიდატურა წამოაყენეს და მოინდომეს სოლომონ მეორის დამხობა. სოლომონმა დიდხანს აღარ დაახანა, გიორგის მოშორება ეგრე ძნელიც არ იყო და მეფის ბრძანებით მალე მუხურის მიუდგომელს ციხეში უკრეს თავი და სასტიკი მცველები მიუჩინეს. 13)

ამგვარად აქაც პირში ჩალაგამოვლებული დარჩა გრიგოლ დადიანი, კოჭი ამ ჯერათაც ალჩუს არ დაჯდა და შეეცადა შერიგებოდა სოლომონს. ფოთში ჩაკეტილმა დადიანმა ერეკლე მეფეს კაცები გამოუგზავნა და სთხოვა, როგორმე შეერიგებინა სოლომონთან და კვალად სამთავრო დაებრუნებინათ. ერეკლე სიამოვნებით შეეგება გრიგოლის წინადადებას და შესარიგებლად გაგზავნა ძისძე თვისი ივანე ბატონიშვილი და მას მიანდო სოლომონისა და გრიგოლის შერიგება, რომელიც მოხდა 1795 წელს. დადიანმა მიიღო უკანვე თავისი სამთავრო და სოლომონმა ნიშნად შერიგების უალრესად გამტკიცებისა ცოლად შეირთო და მისი მარიამი, ხოლო თვით გრიგოლმა ცოლად ითხოვა შვილის-შვილი ერეკლე მეფისა ასული ბატონიშვილის გიორგისა ნინო

ასე დანათესავდნენ სოლომონი და გრიგოლი და დროებით იმერეთ-სამეგრელოში მშვიდობიანობა ჩამოვარდა, მაგრამ საეჭვო იყო ამ ნათესაობას მათში შუღლი და უსიამოვნობა მოესპო. მრავალი მიზეზი იყო, რომელიც შეუძლებლად ჰხდიდა მათში მშვიდობიანობას. თვით დადიანი საშინელი თავმოყვარე, ამაყი და დამოუკიდებულობის მოტრფიალე იყო. ასეთივე იყო დადიანი ოჯახობაშიაც, არავის რჩევას დედისას ან ძმებისას პატივს არა სცემდა და ყველაფერს თავის ნებაზე განაგებდა. სოლომონი კიდევ დაჟინებით თხოულობდა მისგან მორჩილებას და ვერას გზით ვერ შეჰგუებოდა გრიგოლის დამოუკიდებლობას. სოლომონისათვის უფრო ხელ-საყრელი იყო გადადიანება გრიგოლის ძმის მანუჩარისა, რომელიც სუსტის ხასიათისა იყო და ყოველთვის მონამორჩილი იქნებოდა სოლომონისა. მასვე მხარს უჭერდა დედაც—მხნე, მარჯვე და მოხერხებული დედაკაცი, რომელსაც არაფრად ეჭაშნიკებოდა სრული უყურადღებობა მშობელ დედისადმი, სულითა და გულით სურდა მანუჩარის გადადიანება და გრიგოლს ამიტომ მოსვენებას არ აძლევდა. სამაგიეროდ გრიგოლს ზურგს უმაგრებდა გიორგი მეფე ქართლ-კახეთისა, რომლის ქალიშვილი ნინო ცოლადა ჰყავდა მას და რომლის შემწეობითაც იმედი ჰქონდა სრული დამოკიდებულობა მოეპოვებინა. მოყვარე კიდევ მისი ბატონიშვილი დავითი აშკარად მხარს უჭერდა გრიგოლს და ერთს თავისს წერილში პირდაპირა სწერდა რუსეთის მთავრობას, **1414** წლიდან დადიანები სრული დამოუკიდებლები არიან იმერეთის მეფეებისაგანაო და სოლომონისაგან გრიგოლ დადიანის შევიწროება და მის სამფლობელოს წაბლაუჭება სრული უსამართლობა და ძალმომრეობააო. 14)

წასაბლაუჭებელი კი მათი უმთავრესად ლეჩხუმი იყო —ეს თვალ-მარგალიტი იმერეთ-სამეგრელოსი. სოლომონი მეცადინეობას არ აკლებდა მის დასაკუთრებას, დადიანი კი მთელის თავის ძალღონით სცდილობდა ერთი ნაჭერიც არ დაენებებინა მისთვის. 8—9 წელიწადია, სწერდა სოლომონი **1803** წელს კავკასიის მთავარ მართველს, რაც დადიანი გადამეკიდა და მოსვენებას არ მაძლევსო, მაშასადამე იმ წლიდანვე, რა წელსაც ერეკლემ შეარიგა, ე. ი. **1795** წლიდანვე დაწყებულა მათში შუღლი და უსიამოვნობა. ეს უსიამოვნობა ხშირად აგიზგიზებულ ცეცხლად იქცეოდა ხოლმე, რომელსაც ნავთსა და კუპრს უმატებდა დედა დადიანისა და რომელიც ხშირად თავდებოდა გრიგოლის გაძევებით სამეგრელოდან. მაგრამ გრიგოლი ხან ხერხით, ხან ძალით ისევ დადიანდებოდა და ამაყად ქედს არ უხრიდა ბევრად მასზედ ძლიერს სოლომონს. გრიგოლმა **1799** წელს სრულიად აიშვა, გავიდა ლეჩხუმში და მისი გამგე ქაიხოსრო გელოვანი, რომელიც მხარს უჭერდა და მორჩილებდა სოლომონს, ღალატით მოაკვლევინა, თავი სოლომონს გაუგზავნა, და ლეჩხუმი სამეგრელოს შეუერთა. 15)

ამ საქციელს მოჰყვა დაუსრულებელი და გაუთავებელი, ომი, სოლომონმა გადასწყვიტა, რომ მეტის მოთმინება შეუძლებელია და ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეგრიხნა დადიანისათვის კისერი ან თავისი მონა მორჩილი გაეხადნა და ლეჩხუმი თავისი საბძანებელი ყოფილიყო ან არა და სრულიად განედევნა, მოესპო მისი ხსენება სადადიანოში.

ზ. ედილი.

(შემდეგი იქნება)

---

8) იხ. Бутковъ; „Матеріалы для новой исторіи Кавказа“. გვ. 284.

9) იხ. Акт., ტ. I, გვ. 553.

10) იხ. Акты, ტ. I, გვ. 553.

11) იხ. მასალები საქართველოს ისტორიისათვის ბატონიშვილებისა.

12) იხ. «Матеріалы для новой исторіи Кавказа, Буткова.

13) იხ. «თავგადასავალი იმერთა მეფის ბატონიშვილის გიორგისა». «მოამბე» 1905 წ. N 5.

14) იხ. Актъ археологической ком. т. I.

15) იხ. „მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, ბატონიშვილებისა.

ბი. არჩევნის წინა დღეებში მებატონეები შეიკრიბებოდნენ ხოლმე სადმე სასტუმროში, და კანდიდატებს ჰნიშნავდნენ და მერე ბრძანებას აძლევდნენ ფერმერებს, ამ კანდიდატებს მიეცით ხმაო. ის ფერმერი, რომელსაც ლიბერალიზმს შეამჩნევდნენ დაუყონებლივ ჰკარგავდა იჯარას. ეხლა-კი მუშებს უელსში აღარ ეშინიანთ მებატონეების მუქარისა. მიზეზი ისაა, რომ უელსში ბევრი ქვანახშირის მადანი და ქვის სამტრევია. ის სოფლის მუშები, რომლებსაც მებატონე დაემუქრება, მაშინვე მადნებში მიდიან. აუცილებლად საჭიროა, რამ ინგლისელი სოფლის მუშებიც ეკონომიურად დამოუკიდებელნი გახდნენ, ისე როგორც უელსელები. ლოიდ-ჯორჯის აზრით, ამისთვის საჭიროა საადგილ-მამულო საკითხი გადასწყდეს ინგლისში. მთელი მიწა ინგლისში ეკუთვნის 2,500 მებატონეს. ამ ჟამად სოფლის მეურნეობა ინგლისში სულ სხვანაირ პირობებში სწარმოებს, ვიდრე სხვა საქმეები. ყველაფერში დიდი განსხვავებაა. მართლაც და ყოველ საქმეში ცდილობენ, რომ კაპიტალისტსა თუ მუშებს რაც შეიძლება მეტი ხეირი ჰქონდეთ. მიწის იჯარით გაცემის დროს-კი მებატონეს ყოველი უპირატესობა აქვს: სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური. ასეთ პირობებში ძნელად გამოჩნდება ისეთი კაცი, რომ გაბედოს და თავის ფული ჩაყაროს იჯარით აღებულ მამულში. მებატონეს შეუძლიან ვადის გათავების შემდეგ გააგდოს მოიჯარადრე და არაფერიც არ მისცეს. ფეოდალიზმის დასაძლევად არა კმარა მიწის წვრილ ნაჭრებზე კანონი გამოცემა; არც თუ კანონი მიწების ძალდატანებით შესყიდვაზე უშველის საქმეს, იმიტომ რომ მებატონეები მაშინვე მეტად დიდ ფასს დაადებენ მიწას. ჩვენმა სამინისტრომ პირველი ნაბიჯი კიდეც გადადგა. სწორედ ამით აიხსნება, რომ ჩვენმა ბიუჯეტმა ასე გააბოროტა ფეოდალები. მებატონეებმა მაშინვე ღრიალი მორთეს: „გვცარცავენ! სოციალიზმი!“

კრებამ დიდის გატაცებით მოისმინა ლოიდ-ჯორჯის სიტყვა და ძლიერის ტაშით დააჯილდოვა მჭევრ-მეტყველი ორატორი.

გლადსტონის ლიგის მიზანი სოფლელ ამომრჩეველთა დაცვაა მებატონისა და მღვდლისაგან. ეს დაცვა ძლიერ საჭირო იქნება მოკლე მომავალში. მაგრამ ლიგას სხვა უფრო ფართო მიზანიც აქვს. გლადსტონის ლიგამ იცის, რომ სოფლელ მუშის შემინება შესაძლებელია მხოლოდ მის ეკონომიურ დამონავების წყალობით, მეორეს მხრით, ფეოდალს დიდი ძალა აქვს, რადგან მიწა მის ხელშია. ამიტომ ლიგამ მიზნად დაისახა—მიწა ისევ ხალხს დაუბრუნოს. („რ. ვ.“)

გრიგოლ რობაქიძის ლექცია

შაბათს, 27 მარტს, ქართულ თეატრში გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას ამ თემაზე: „რელიგია მშვენიერებისა“ (ოსკარ უაილდის შემოქმედების შესახებ)

ლექტორი განავითარებს შემდეგ დებულებებს.

ქვეყნიერების ცხოვრება მუდმივი ცვალებაა. ეს ცვალება არ არის უბრალო მიღაგ-მოღაგება ქვეყნის ნაწილებისა, არამედ ორგანიული ზრდა-განვითარება. ამ პროცესში ქვეყანა სახეს იღებს, სახიერდება: იქმნის სულ ახალი და ახალი ინდივიდუალობა, პიროვნულის „მეს“ მატარებელი. ადამიანი ერთი ამ „მე“-თა განხორციელებაა, ხოლო ყველას უფრო სახიერი და პიროვანი.

ერთს რამეს კიდევ ამჩნევს ადამიანი: მას, რომ არც ერთი „მე“ არ არის უკვდავი და მარადი: ყოველი სახე წარმოიშობის, რომ მერე არარაობის წყვდიადში გაჰქრეს, აქ ადამიანის წინ წამოიჭრება სიკვდილის პრობლემა მთელის თავის შემზარავ საშინელებით.

მაგრამ არის ადამიანში ერთი ძალა, რომელიც უკვდავების წყალს ასმევს. ეს ძალა სიყვარულია. სიყვარულით ადამიანი სწყვეტს თავის ეულობას და უერთდება მსოფლიოს; სიყვარულში ადამიანი პირველად გრძნობს უკვდავებას. მაგრამ მხოლოდ „გრძნობს“: უკვდავების წუთიერი განცდა სინამდვილის სხეულს ვერ ისხამს,—და ადამიანი, უკვდავების გრძნობით დამთვრალი, კიდევ უფრო ილტვის უკვდავებისადმი...

და აი, ადამიანი იწყებს ხელოვნურ სინამდვილის ქმნას. მას სურს, რომ წუთიერი განცდა უკვდავებისა რაიმეში აღბეჭდოს, გახადოს იგი საჭვრეტ საგნად. მის სურვილს ხელოვანი ასრულებს: იგი იღებს შემთხვევითსა და წარმავალს და მასში მარადიულსა და წარუვალს პოულობს: სჭრის მას მრავალფეროვან მარმარილოში, ახმოვანებს მუსიკალურს ჰანგებში, გამოსთქვამს ადამიანის ცხოველმყოფელ სიტყვაში..

აი, ხელოვნური სინამდვილე. ეს სინამდვილე მხოლოდ სიმბოლოა სხვა სინამდვილისა, ხორცსხმულისა და ცოცხალის: იგი, ერთხელაც არის, კიდეც უნდა იქცეს ამ სინამდვილედ. აქ იბადება რელიგიური ლტოლვა, რომელიც ისწრაფვის, „სიმბოლიური სინამდვილე“ გარდაქმნას „რეალურ სინამდვილედ“.

მაგრამ ამგვარი გარდაქმნა მეტად ძნელია და ჯერ-ჯერობით შეუძლებელიც,—და ხელოვანი, ერთხელ ლტოლვილი გარდაქმნის მისწრაფებით, ჩერდება შუა გზაზე. იგი იწყებს სიცოცხლეს ხელოვნური სინამდვილით, როგორც ნამდვილის „სინამდვილით“, მაგალითად: წარმოვიდგინოთ, რომ მას არც სიყვარული, არც მეგობრობა და არც გმირული თავგანწირულება არ გამოუცდია; მაგრამ ხელოვნურ სინამდვილეში (მუსიკაში, ტრაგედიაში, პოეზიაში) იგი სიყვარულსაც „როგორც ნამდვილი სინამდვილით“ განიცდის, მეგობრობასაც და გმირულ თავგანწირულებასაც. ხელოვნურ სინამდვილის სფეროში წარმოიშვის ტრაგედია და ტრაგიული. ხელოვნური სინამდვილით მცხოვრებელ ადამიანისათვის მუსიკაში გამოთქმული მწუხარებით მოგვრილი ცრემლი უფრო ღრმა და ძლიერია, ვიდრე ნამდვილ მწუხარებით გადმოხეთქილი ტირილი.

ახლო ხანებში ხელოვნურ სინამდვილის წინასწარმეტყველად ფრ. ნიცშე გამოვიდა. მთელი მისი ფილოსოფია დიონისოს აღდგენაა, ამ ტრაგიკულის ღმერთისა, რომელიც მარტ ოდენ ვნებაში ჰხედავს სიცოცხლეს, ხოლო მოციქული ესთეტიურ სინამდვილისა, პავლე მშვენიერების რელიგიისა, იყო ოსკარ უაილდი. უაილდმა შეჰქმნა ესთეტიური მანიფესტი ამ ახალის მოძღვრებისა და მრავალს მხატვრულს ქმნილებაში გამოსახა იგი.

უაილდი იყო მეტად ნიჭიერი მხატვარი. არაკის (მითის, ზღაპარის, ლეგენდის) შეჰქმნა ფრიად ძნელია: საუკუნოებით ჰქმნის მას ხალხი, მისი გენია. უაილდი ისეთი ნიჭით იყო მომადლებული, რომ არაკის ჰქმნაში მას ბადალი არა ჰყავდა. იქ კი, საცა ფაბულასა აიღებდა, მას იგი სრულს ფორმაში ჩამოასხამდა. ასეთია, მაგალითად, მისი დრამა „სალომე“. ფორმის მხრივ ამ თხზულებას ხშირად თუ შეედრება რომელიმე მსოფლიო ნაწარმოები. გარდა ამისა, ამ დრამაში უაილდმა თავისებურად დაგვისახა პრობლემა სიყვარულისა და სიკვდილისა. სალომეში მან განახორციელა წარმართული ხანა, რომლისათვისაც სხეულის სილამაზე და ვნებატკბობა ყველაფერი იყო; იოქანაანში მან განახორციელა ახალი, ქრისტიანული ხანა, რომლისათვისაც სულის მშვენიერება და სულის ნეტარება ყველაფერია. ლამაზი სხეული და მშვენიერი სული ვერ შეერთდნენ და ერთიმეორეს შეაკვდნენ...

უაილდი მით იყო მნიშვნელოვანი, რომ მან ააგო მშვენიერების რელიგიის ტაძარი და მანვე დაანგრია იგი. ასეც უნდა მომხდარიყო. შეუძლებელია სინამდვილის უარჰყოფა: ვინც მას უარჰყოფს, იგი მას საშინელებით მოევლინება. ეს დაემართა დორიან გრეის, უაილდის საუკეთესო გმირს (რომანი „სურათი დორიან გრეისა“). ესევე დაემართა უაილდს (თხზულება „De profundis“): მას სინამდვილე საპყრობილის სახით მოევლინა. აქ მან თავის ცხოვრებით უარჰყო განყენებული ესთეტიზმი და იმის ალაგს ახალი ჰორიზონტი იხილა.

რუსეთი

სოფლად. „რეჩ“-ს სოფელ დიდ ფროლოვიდან (ყაზანის გუბერნია) ატყობინებენ: ერთი თვის წინად ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეამჩნიეს, რომ გლეხი ი. გ—ნი „ჭკუაზედ ირყევა“. ამაში ფროლოველები უფრო დარწმუნდნენ, როდესაც ეკლესიაში, წირვის დროს, ი. გ—ნმა დაუარა მლოცველებს, ზოგს აკოცა, ზოგს ხელი ჩამოართვა და სხვ. შემდეგ ი. გ—ნი შევიდა საკურთხეველში და მღვდელს სთხოვა ჩქარა წაეკითხა „მანიფესტი“. გლეხებმა გ—ნი გაიყვანეს ეკლესიიდან, მაგრამ საწყალი გლეხი მაინც ვერ დააშოშმინეს, იგი რაღაც მანიფესტზედ ყვიროდა, თავისუფლებას, მიწას თხოულობდა, ნედოიმკებსა და ცეცხლზედ ყვიროდა.

ფროლოველები გ—ნის ჭკუაზედ შეშლას შემდეგით ხსნიან: როდესაც ი. გ—ნი შეძლებული გლეხ-კაცი იყო, მაგრამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ძალიან გაღარიბდა. წარსულ ზამთარს მას გადასახადების გადაუხდელობის გამო, მამული აუწერეს და უნდოდათ საჯარო ვაჭრობით გაეყიდნათ. ამან ცუდად იმოქმედა გ—ნზედ. თებერვლის დასაწყისს ვიღამაც ხმა გაავრცელა, 19 თებერვალს მანიფესტი გამოცხადდებაო, მაგრამ რა მანიფესტი, არავინ არ იცოდა. ლაპარაკობდნენ რაღაც დაბეჭდილ პაკეტზედ, რომელიც ვითომდა ალექსანდრე მეორეს უნდა დაეტოვებინოს. ეს პაკეტი ეხლა უნდა გაეხსნათ. ი. გ—ნი და სხვა გლეხები 19 თებერვლისთვის ელოდნენ მანიფესტს, მაგრამ... გავიდა 19, 20. თებერვალი და მანიფესტს არავინ აცხადებდა. აი, სწორედ ამ დღეიდან შეიშალა ჭკუაზედ ი. გ—ნი.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ სოფლად ათასნაირი ხმები დადის. სოფელი კიდევ ელის „სასწაულს“ და „შემთხვევას“, გლეხები დაჟინებით ლაპარაკობენ „დაბადების ფურცლებზედ“, „შვიდ ბეჭდიან გრამოტებზედ“ და „მანიფესტებზედ“.

ამ დღეებში, მაგალითად, სოფელ პოლგარში გავრცელდა ხმა, გაზაფხულზედ 40,000 კაცით ოსმალეთის სულთანი ჩამოვა „ვითომცა სალოცავად, ნამდვილად კი ახალ წესების დასამყარებლად“ ე. ი. კონსტიტუციის გასამაგრებლად.

ამას გარდა, სოფლებში ხმა დადის, უცნობები დაიარებიან და გლეხებს ხელ-წერილს ართმევენ: „გლეხებს უჭერთ მხარსაო!“ ვინ იცის, იქნებ მემამულეების გამოგზავნილები არიან, მაშინ მთავრობა ხეირს არ დაგვაყრის; თუ ვიტყვით მემამულეებსო, მაშინ ხალხისგან კარგს ნუ ელი. ხელ-წერილის ჩაუბარებლობა კი არ შეიძლება, შემდეგ ორთავე მხარე დაგვსჯის! დავიმალოთ დროებით სადმე, არც ეს შეიძლება?

სოფლებში ამისთანა ხმები ბევრი დადის. ვინ ავრცელებს ამისთანა ხმებს, არავინ იცის. სოფელი კი აზვიადებს ამ ხმებს და ერთი სოფლიდან მეორეში ავრცელებს.

სიკვდილით დასჯა სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვს: ხარკოვში 1, პეტერბურგში 2, ოდესაში 5, ვარშავაში 2, კიშინევში 1, ეკატერინოსლავში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ოდესაში 3, პეტერბურგში 1, კიშინევში 2, უფაში 1, ტომსკში 2 კაცი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! „დროების“ მე-60 ნომერში მოთავსებულია წერილი სტ. ს. ჯაფარიძისა, რომელიც ბრალსა მდებს, ვითომ ჩემის მიზეზით მას თავის ხვედრი სტიპენდია არ მიეღოს. სიმართლის აღსადგენად გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი: ბ-ნ ჯაფარიძეს აქვს დანიშნული 1908 წლიდან 180 მან. წლიურად. 1908 წ. მან ქუთაისში მიიღო 210 მ., 30 მან. ზედმეტი, ე. ი. მომავალი 1909 წ. ხვედრი სტიპენდია. 1909 წ. ოქტომბრამდე, გარდა 30 მან., მიიღო 105 მ. დეპუტატთა საკრებულოს მოუვიდა ცნობა, რომ სტ. ჯაფარიძე ყაზანის უნივერსიტეტიდან გადავიდა ხარკოვის უნივერსიტეტში და ხარკოვში მას 20 ნოემბერს გაეგზავნა 15 მან. ამის შემდეგ 11 ნოემბერს 1909 წ. მოვიდა ახალი ცნობა, რომ სტ. ჯაფარიძეს მიუტოვებია ხარკოვის უნივერსიტეტიც და გადასულა კიევის უნივერსიტეტში. დეპუტატთა საკრებულო იძულებული იყო, შეეკრიბა ცნობები ამ სტიპენდიანტის შესახებ, რომელიც სტიპენდიის დანიშვნიდან წელიწად ნახევარი ქუთაისში იყო, ხოლო 1908 და 1909 წლების განმავლობაში გამოიცვალა ორი უნივერსიტეტი და დამკვიდრდა მესამეში. ცნობების შეკრებამ გასტანა მდგომარე წლის იანვრამდე. მდგომარე წელს კი კრედიტი გაიხსნა 22 თებერვალს და თავად-აზნაურების კრებების გამო ვერ შევსძელით ფულის დაგზავნა სტიპენდიანტებისათვის მარტამდის. ამ გვარად სტ. ჯაფარიძეს გაუგზავნეთ 7 მარტს 60 მან. კიევში. სტ. ჯაფარიძეს მიღებული აქვს 390 მან., ე. ი, ამა წლის მარტამდე. ამ მდგომარეობაშია სტ. ჯაფარიძის საქმე და თვით მკითხველმა დასდოს მსჯავრი რამდენად სამართლიანია ბ-ნ ჯაფარიძის წერილი. ამასთან არ შემიძლიან არ დაუმატო, რომ მე არავითარი ქაღალდი არ დამიკარგავს და ეს ადგილი ჯაფარიძის წერილისა სრული სიცრუეა. ჩვენ ბრალი გვედება მხოლოდ ერთ გარემოებაში: ეს ის გარემოება გახლავთ, რომ სტ. ჯაფარიძე ერთი წლისა და ათი თვის განმავლობაში სულ აქ იყო ხოლმე ქუთაისში და ფულსაც აქ ვ ძლევდით, რაიცა ინსტრუქციით აღკრძალულია, მაგრამ ამას ვშვრებოდით იმიტომ, რომ შევდიოდით მის მდგომარეობაში. მისი ღია წერილი მე არ მომსვლია და ტელეგრამაზე პასუხი არ გასცა საკრებულომ, რადგან პასუხისათვის არ იყო გადახდილი ფასი და ამგვარ ტელეგრამაზე საკრებულოს თანხა არ აქვს.

საკრებულოს მდივანის თანაშემწე

ალ. მაჭავარიანი.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

უღრმეს მადლობას უძღვნი იმ პატივცემულ პირებს, რომელთაც გამოიჩინეს კაცთ-მოყვარეობა, აწონ-დაწონეს ჩემი უნუგეშო მდგომარეობა, გამოწვეული ძვირფას ძმ ს მელიტონ იასეს ძის ჩოგოვაძის უდროვოდ გარდაცვალებით, და გამომიწოდეს ხელი მოსწავლე ახალ-გაზდას. სულითა და გულით ვმადლობ ქვემოდ ჩამოთვლილ პატივცემულ პირებს, რომელთაც აღმითქვეს ძმის მაგივრობა სწავლის დამთავრებამდის ყოველ-თვიურის დახმარებით: ქუთ. საეპარქიო სასწ. საბჭოს, დეკ. გ. ცაგარეიშვილს, დეკ. ი. ჭეიშვილს, დეკ. ე. კანდელაკს, მღ. ა. გერსამიას; მასწავლებლებს: ს. ჭეიშვილს, ა. სვანაძეს, კ. მაღრაძეს, ლ. ხმალაძეს, ნ. მაღრაძეს, ი. ოცხელს, ს. ოცხელს, მ. ჩინჩალაძეს, ნ შარაბიძეს, ბ. მომფორიას, ს. დათეშიძეს, ბარბ-ლე ვოლსკის ასულს, ს. ყიფიანს, ვ. კომურჯავას, სასულ. სასწ. მასწავლებლებს და ვ. ალშიბაიას. აგრეთვე შემდეგ პატივცემულ პირებს, რომელთაც არ დაიშურეს და ერთდროული დახმარება აღმომიჩინეს: ს. ჯორჯიკიას, გ. სვანაძეს, ლ. კეშელავას, ნ. ლებედევს, დ. ჩიმავაძეს, ვლ. კოტლიაროვს, ბაბეს, მურადოვს, იურკევსკის, ტ. მამალაძეს, მღ. დუგლაძეს, მ. ქიქინაძეს, დიაკ. ანანენკოს, ვ. იოსელიანს.

ამასთან დიდ მადლობ ს უძღვნი „ფონის“ რედაქციას, რომელმაც შრომა მიიღო ჩემთვის ფულის შეკრება-გადმოცემაში. სტუდენტი **ილარიონ იესეს ძე ჩოგოვაძე.**

პატივცემულო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის უ ხლოესს ნომერში დაგვიბეჭდოთ ანგარიში სამასკარადო საღამოსი, რომელიც გაიმართა დაბა ხონში თებერვლის 27-ში ქალთა კერძო გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად.

შემოვიდა: ბილეთების გაყიდვით 84 მ. 50 კ., ბუფეტმა მოგვცა 95 მ. 53 კ., შემოწირულებანი იყო 32 მ., სულ 212 მ. 53 კ. დაიხარჯა: ოთახების მორთვა-მოწყობას 13 მ. 18 კ., ბუფეტს 27 მან. 91 კ., მარკებისთვის 4 მ., მოსამსახურეებს და წვრიმალი ხარჯი 18 მ. 9 კ. სულ 63 მ. 15 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 149 მ. 38 კ., რომელიც გადაეცა დანიშნულებისამებრ.

დიდს მადლობას უძღვნით ქ-ნ სალომე ქაიხოსროს ასულს ლორთქიფანიძისას, რომელმაც დაგვითმო თავისი სახლი საღამოს გასამართად, ალექსანდრე თომას ძეს მაჭარაძეს, რომელმაც უსასყიდლოდ დაგვიბეჭდა აფიშები და ბილეთები, და აგრეთვე ყველა იმათ, ვინც ან შემოწირულებით და ან თავის შრომით დაგვეხმარა ამ საღამოს გამართვაში.

გამგე საღამოსი **ანასტასია მამალაძისა.**

განცხადებანი

ქუთაისში

კიწმარაშვილის და ამხ.

თესლეულობის მაღაზიაში მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნება. (25—კვ.—14)

გამოვიდა ახალი მე-12 №-რი

თეატრი და ცხოვრება

თითო ნომერი 10 კაპ.

წლიური ფასი 5 მან., ნახევარი წლით 3 მან. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან.

რედაქტ.-გამომც. იოსებ იმედაშვილი.

ვ. ყიფიანის დრამა

სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

ფასი ორი აბაზი

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

საშეურნეო ჟურნალი

მოსავალი

წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს რჩეულ მცენარეებ ს საუკეთესო თესლის გაგზავნას უ ფ ა ს ო დ.

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელ ის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში

იყიდება

1.	ი. ჭავჭავაძე. კრიტიკული წერილები	25 კ.
2.	ი. ჭავჭავაძე. პოლემიკური წერილები	10 „
3.	ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი	25 „
4.	ი. ჭავჭავაძე. აი ისტორია	35 „
5.	აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული	40 „
6.	აკაკი. თორნიკე ერისთავი	35 „
7.	აკაკი. კრილოვის იგავ არაკები, სურათებით	50 „
8.	აკაკი. ქუთათლის სიზმარი	5 „
9.	აკაკი. ნაცარქექია	10 „
10.	აკაკი. გოგია მეჩანგურე	5 „
11.	ნ. ბარათაშვილი. ლექსები	5 „
12.	ე. ნინოშვილი. გოგია უიშვილი	5 „
13.	ე. ნინოშვილი. პალიასტომის ტბა	5 „
14.	ა. ყაზბეგი. ელისო	10 „
15.	ვაჟა-ფშაველა. ცრემლები, ლექსები	50 „
16.	კარიჭაშვილი დ. საქართველოს მოკლე ისტორი. ნ. ს.	40 „
17.	ნ. მარრი история грузіи	25 „
18.	ი. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლება	15 „
19	ი. ჯავახიშვილი. საქარ. ეკონომიური ისტორია	40 „
20.	ი. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია	60 „

და სხვა ყოველ გვარი ქართული წიგნი.

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., შინ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს. საღამოთი 6—7 საათ. [illegible] ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—69)

სამკურნალო

სპეციალისტ ექიმებისა გარდა [illegible] ავადმყოფთათვის. ვანქის ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483. —ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგოსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველდღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ნოვიცკი—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველდღე 11—12½ საათ.

კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

ასპიროვი—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვას ე რის შრატით. (100—5.—25)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

24 წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ანბანი კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად —შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებ ს მაღაზიაში თავად-აზნაურობის ქარვასლაში.

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი

ე. მ. ა. ბაქონია

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის. ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით: (20—15) **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

—◀ სრული პასუხის მგებლობა ▶—

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე

„ფეხსაცმელების სახელოსნო“

გვაქვს მზად შეკერილი ფეხსაცმელები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშავარი—შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა, აგრეთვე ვკერავთ შეკვეთით ხუფთად, მკვიდრად და დანიშნულ ვადაზედ. საქციელის სიკარგისათვ ს ვკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას. ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა N 28.

პატივისცემით ივ. ხვ. ბერძნიშვილი.

—◀ სრული პასუხის მგებლობა ▶— (25—6.—11)

დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

§§§§§§§ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს კვირეული§§§§§§§

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆—

—◆ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

* * * * **ხელის მომწერთა საყურადღებოდ** * * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„დროების“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, редакція „Д р о э б а“, И. С. Агладзе.

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.